ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერია
იურიდიული საქალაქო სამსახური

წერილის ნომერი: **10-0119136444**
თარიღი: **16/05/2019**
პინი: **3589**

გადაამოწმეთ: document.municipal.gov.ge

ადრესატი: სს "ფუდმარტის" დირექტორი ივანე კუტიბაშვილი
საიდენტიფიკაციო ნომერი: 404460187
მისამართი: ქ. თბილისი, თ. ჩანტლაძის ქ. № 40

გ ზ ა ვ ნ ი ლ ი

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მოთხოვნათა შესაბამისად, გეგზავნებათ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიაში თქვენ მიერ წარმოდგენილ №10/01191053684-01 ადმინისტრაციულ საჩივართან დაკავშირებით ადმინისტრაციული ორგანოს მიერ მიღებული გადაწყვეტილება – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის პირველი მოადგილის (ვიცე-მერის) 2019 წლის 15 მაისის №577 ბრძანების სახით.

დანართი: 7 (შვიდი) ფურცელი

პატივისცემით,

ჯუმბერ ყანდარელი

იურიდიული საქალაქო სამსახური-
ადმინისტრაციული დავების განხილვისა და
სამართლებრივი აქტების მომზადების
განყოფილება-მეორადი სტრუქტურული ერთეულის
ხელმძღვანელი (განყოფილების უფროსი)

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერია

ბრძანება №577

„15" მაისი 2019 წ.

სს „ფუდმარტის" დირექტორის ივანე კუტიბაშვილის
ადმინისტრაციული საჩივრის დაკმაყოფილების თაობაზე

2019 წლის 15 აპრილს სს „ფუდმარტის" დირექტორმა ივანე კუტიბაშვილმა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიაში წარმოადგინა №10/01191053684-01 ადმინისტრაციული საჩივარი ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის (შემდგომში - „არქიტექტურის სამსახური") 2019 წლის 22 მარტის №4427280 გადაწყვეტილების ბათილად ცნობისა და ამავე სამსახურისათვის ახალი ინდივიდუალური ადმინისტრაციული-სამართლებრივი აქტის გამოცემის დავალების მოთხოვნით.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 180-ე და 181-ე მუხლებთან შესაბამისობის შემოწმების შემდეგ, ადმინისტრაციულმა ორგანომ განიხილა წარმოდგენილი ადმინისტრაციული საჩივარი.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96-ე, 194-ე და 195-ე მუხლების შესაბამისად, წარმოდგენილ ადმინისტრაციულ საჩივარზე გარემოებათა სრულყოფილად გამოკვლევისა და დაინტერესებულ მხარეთა მიერ მოსაზრებების წარმოდგენის მიზნით, საკითხთან დაკავშირებით 2019 წლის 24 აპრილს გაიმართა ზეპირი მოსმენის სხდომა, რომელზეც გამოცხადდნენ: საჩივრის ავტორის, სს „ფუდმარტის" წარმომადგენელი, მარიამ ძიძიგური და მოწინააღმდეგე მხარის, არქიტექტურის სამსახურის წარმომადგენელი, გიორგი ჭიჭინაძე.

წარმოდგენილ ადმინისტრაციულ საჩივარში აღნიშნულია, რომ არქიტექტურის სამსახურის სადავო გადაწყვეტილება დაუსაბუთებელია, მიღებულია საქმის გარემოებათა გამოკვლევის გარეშე, რის გამოც ეწინააღმდეგება კანონმდებლობას და ბათილად უნდა იქნას ცნობილი.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიაში გამართულ ზეპირი მოსმენის სხდომაზე საჩივრის ავტორის წარმომადგენელი დაეთანხმა წარმოდგენილ ადმინისტრაციულ საჩივარს და მოითხოვა მისი დაკმაყოფილება.

ქ. თბილისი 0160, ა. შარიძავას ქუჩა №7. ტელ.: (+995 32) 2 378 170. ფაქსი: (+995 32) 2 378 200

მოწინააღმდეგე მხარის, არქიტექტურის სამსახურის წარმომადგენელი არ დაეთანხმა წარმოდგენილ ადმინისტრაციულ საჩივარს და განმარტა, რომ სადავო ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი გამოცემულია კანონმდებლობის მოთხოვნათა დაცვით, რის გამოც არ არსებობს მისი ბათილად ცნობის სამართლებრივი საფუძველი.

მოცემულ საქმეზე დაინტერესებული მხარეების მოსაზრებების მოსმენის, საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე ფაქტობრივი და სამართლებრივი გარემოებების, წარმოდგენილი საქმის მასალების საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მოთხოვნათა შესაბამისად გამოკვლევის შემდეგ, ადმინისტრაციული ორგანო მივიდა დასკვნამდე, რომ სს „ფუდმარტის“ დირექტორის, ივანე კუტიბაშვილის ადმინისტრაციული საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

უდავო გარემოებაა, რომ არქიტექტურის სამსახურის 2018 წლის 5 ნოემბრის №4248376 გადაწყვეტილებით დაკმაყოფილდა მიხეილ მაისურაძის 2018 წლის 1 ნოემბრის №AR1641506 განცხადება და დადასტურებული იქნა ქ. თბილისში, ჭავჭავაძის გამზირი №25-ში მდებარე, შპს „10 ლიდოსა“ და შპს „საქართველოს დავით აღმაშენებლის სახელობის უნივერსიტეტის“ თანასაკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთზე (ს/კ: №01.14.14.012.005), შპს „10 ლიდოს“ კუთვნილი ფართის ფასადზე სარეკონსტრუქციო სამუშაოების განხორციელების, კერძოდ, არსებული ფანჯრის ღიობების სიმაღლეში გაზრდისა და არსებული ნალესის ახლით შეცვლის შესაძლებლობა.

ასევე, უდავო გარემოებას წარმოადგენს, რომ არქიტექტურის სამსახურის 2019 წლის 8 იანვრის №4329783 გადაწყვეტილებით დაკმაყოფილდა მიხეილ მაისურაძის 2018 წლის 28 დეკემბრის №AR1652741 განცხადება და გაიცა წერილობითი დასტური ქ. თბილისში, ჭავჭავაძის გამზირი №25-ში მდებარე, შპს „10 ლიდოსა“ და შპს „საქართველოს დავით აღმაშენებლის სახელობის უნივერსიტეტის“ თანასაკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთზე (ს/კ: №01.14.14.012.005), შპს „10 ლიდოს“ კუთვნილი ფართის ფასადზე კორექტირებული ფოტომონტაჟის საფუძველზე სარეკონსტრუქციო სამუშაოების, კერძოდ, ფანჯრის ღიობების ნაცვლად 2 კარის ღიობის მოწყობის შესაძლებლობა.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2019 წლის 19 თებერვლის განჩინებით (საქმე №3ბ/249-19) შეჩერებულ იქნა არქიტექტურის სამსახურის 2018 წლის 5 ნოემბრის №4248376 და 2019 წლის 8 იანვრის №4329783 გადაწყვეტილებების მოქმედება, განსახილველ საქმეზე საბოლოო გადაწყვეტილების მიღებამდე.

უდავო გარემოებაა, რომ 2019 წლის 19 მარტს თამაზ ცხომელიძემ №AR1669067 განცხადებით მიმართა არქიტექტურის სამსახურს და მოითხოვა ქ. თბილისში, ილია

ჭავჭავაძის გამზირი №25-ში მდებარე, შპს „10 ლიდოსა“ და შპს „საქართველოს დავით აღმაშენებლის სახელობის უნივერსიტეტის“ თანასაკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთზე (ს/კ: №01.14.14.012.005), შპს „10 ლიდოს“ კუთვნილი ფართის ფასადზე სარეკლამო აბრის მოწყობის შესაძლებლობის დადასტურება.

არქიტექტურის სამსახურის 2019 წლის 22 მარტის №4427280 გადაწყვეტილებით თამაზ ცხომელიძეს უარი ეთქვა №AR1669067 განცხადების დაკმაყოფილებაზე იმ საფუძვლით, რომ წარდგენილი განცხადებით მოთხოვნილი აბრის მოწყობა გათვალისწინებულია იმ ფასადის ფუნქციონირებისათვის, რომლის რეკონსტრუქციის სამუშაოები შეჩერებულია სასამართლოს 2019 წლის 19 თებერვლის №3ბ/249-19 განჩინებით.

სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოდან 2019 წლის 1 აპრილის ამონაწერით (განცხადების რეგისტრაციის №882019159398) დგინდება, რომ ქ. თბილისში, ჭავჭავაძის გამზირი №25-ში მდებარე №01.14.14.012.005 საკადასტრო კოდით რეგისტრირებული მიწის ნაკვეთი წარმოადგენს შპს „10 ლიდოსა“ და შპს „საქართველოს დავით აღმაშენებლის სახელობის უნივერსიტეტის“ თანასაკუთრებას, სადაც შპს „10 ლიდოს“ საკუთრებად მითითებულია შენობა-ნაგებობა №3-ში ფართი №1, I სართულზე არსებული 301.52 კვ.მ. ამავე ამონაწერის თანახმად, შპს „10 ლიდოს“ კუთვნილ შენობა-ნაგებობა №3-ში, ფართი №1-ში, I სართულზე არსებული 301.52 კვ.მ.-დან 113 კვ.მ. ფართის მოიჯარეს წარმოადგენს სს „ფუდმარტი“.

საქმის განმხილველი ადმინისტრაციული ორგანო განმარტავს, რომ „მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის №57 დადგენილების (შემდგომში - „№57 დადგენილება“) 36-ე მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, ,,მშენებლობის განხორციელების სამართლებრივი საფუძველია კანონმდებლობით, მათ შორის, ამ დადგენილებით განსაზღვრულ შემთხვევებში სათანადო წესით მიღებული მშენებლობის ნებართვა.“ ამავე მუხლის მე-2 პუნქტის მიხედვით, „მშენებლობის ნებართვა გაიცემა: ა) ახალ მშენებლობაზე (მათ შორის მონტაჟზე); ბ) არსებული შენობა-ნაგებობის რეკონსტრუქციაზე; გ) არსებული შენობა-ნაგებობის დემონტაჟზე; დ) სამშენებლო დოკუმენტის ისეთ ცვლილებაზე, რომელიც საჭიროებს ახალ ნებართვას.“

ადმინისტრაციული ორგანო, ასევე, განმარტავს, რომ №57 დადგენილების 65-ე მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, ,,I კლასის შენობა-ნაგებობების მშენებლობას არ ესაჭიროება მშენებლობის ნებართვა (გარდა ამ მუხლის მე-3 პუნქტით გათვალისწინებული შემთხვევებისა)“. ამავე პუნქტის „ღ“ ქვეპუნქტის მიხედვით, I კლასს განეკუთვნება: „ღ) აბრებისა და რეკლამების განთავსება.“

№57 დადგენილების 66-ე მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად, „I კლასის შენობა-ნაგებობის მშენებლობა წარმოებს ნებართვის მიღების გარეშე, მშენებლობის

მწარმოებელი ვალდებულია დაიცვას კანონმდებლობით, მათ შორის, სამშენებლო რეგლამენტებით გათვალისწინებული მოთხოვნები," ხოლო ამავე მუხლის მე-2 პუნქტის მიხედვით, „I კლასის შენობა-ნაგებობის მშენებლობის მწარმოებელი/დამკვეთი ვალდებულია განზრახული მშენებლობის შესახებ განცხადებით აცნობოს მშენებლობის ნებართვის გამცემ ორგანოს." მითითებული მუხლის მე-7 პუნქტის თანახმად, „მშენებლობის ნებართვის გამცემი ორგანო 5 დღის ვადაში წარდგენილი სრულყოფილი დოკუმენტ(ებ)ის საფუძველზე წერილობით ადასტურებს დაგეგმილი მშენებლობა/მონტაჟის ქალაქთმშენებლობით დოკუმენტებთან შესაბამისობას და მშენებლობის განხორციელების შესაძლებლობას". ამავე მუხლის მე-8 პუნქტით კი, დადგენილია, რომ „თუ ხუთი დღის ვადაში მშენებლობის ნებართვის გამცემი ორგანო განმცხადებელს პასუხს არ აცნობებს, მესაკუთრე ან/და მოსარგებლე უფლებამოსილია დაიწყოს მშენებლობა."

ზემოაღნიშნული სამართლებრივი ნორმებიდან გამომდინარეობს, რომ სამშენებლო სამუშაოების კანონიერად განხორციელების საფუძვლად კანონმდებლობა იმპერატიულად მიიჩნევს შესაბამის სანებართვო დოკუმენტაციას. I კლასის შენობა-ნაგებობის შემთხვევაში კი, ამგვარ საფუძველს წარმოადგენს უფლებამოსილი ადმინისტრაციული ორგანოს მიერ განზრახული მშენებლობის წერილობით დადასტურება. იმ შემთხვევაში კი, როცა მშენებლობის ნებართვის გაცემაზე უფლებამოსილი ორგანო კანონით დადგენილ ვადაში არ აცნობებს პასუხს განმცხადებელს, მესაკუთრეს ან/და მოსარგებლეს უფლება აქვს განახორციელოს მოთხოვნილი სამუშაოები. ამდენად, საქმის განმხილველი ადმინისტრაციული ორგანო განმარტავს, რომ I კლასის სამშენებლო სამუშაოების წარმოების უფლების მოპოვების მიზნით, განცხადების წარდგენაზე უფლებამოსილ პირს წარმოადგენს იმ მიწის ნაკვეთის მესაკუთრე ან მოსარგებლე, სადაც დაგეგმილია მოთხოვნილი სამუშაოების განხორციელება.

საქმის განმხილველი ადმინისტრაციული ორგანო განმარტავს, რომ №57 დადგენილების თანახმად, მშენებლობის ნებართვის გამცემი ორგანო მშენებლობის ნებართვის/წერილობითი დასტურის გაცემის საკითხს განიხილავს მარტივი ადმინისტრაციული წარმოების წესით. შესაბამისად, ადმინისტრაციული წარმოების მიმდინარეობისას უფლებამოსილი ადმინისტრაციული ორგანო ვალდებულია დაიცვას საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსით დადგენილი მოთხოვნები.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის მე-5 ნაწილის თანახმად, „ადმინისტრაციული ორგანო უფლებამოსილი არ არის თავისი გადაწყვეტილება დააფუძნოს იმ გარემოებებზე, ფაქტებზე, მტკიცებულებებზე ან არგუმენტებზე, რომლებიც არ იქნა გამოკვლეული და შესწავლილი ადმინისტრაციული წარმოების დროს". ამავე კოდექსის 96-ე მუხლის პირველი

ნაწილის თანახმად, „ადმინისტრაციული ორგანო ვალდებულია ადმინისტრაციული წარმოებისას გამოიკვლიოს საქმისათვის მნიშვნელობის მქონე ყველა გარემოება და გადაწყვეტილება მიიღოს ამ გარემოებათა შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე“, ამავე მუხლის მე-2 ნაწილის მიხედვით, „დაუშვებელია, ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემას საფუძვლად დაედოს ისეთი გარემოება ან ფაქტი, რომელიც კანონით დადგენილი წესით არ არის გამოკვლეული ადმინისტრაციული ორგანოს მიერ.“

მოცემულ შემთხვევაში, საჩივრის ავტორის მიერ არქიტექტურის სამსახურში წარდგენილი განცხადება, რომლის მოთხოვნასაც წარმოადგენდა შპს „10 ლიდოს“ კუთვნილი ფართის ფასადზე სარეკლამო აბრის განთავსება, არ დაკმაყოფილდა იმ საფუძვლით, რომ ვინაიდან სარეკლამო აბრა ფუნქციურად ემსახურება იმ შენობის ფასადს, რომლის რეკონსტრუქციის თაობაზე არქიტექტურის სამსახურის 2018 წლის 5 ნოემბრის №4248376 და 2019 წლის 8 იანვრის №4329783 გადაწყვეტილებების მოქმედება შეჩერებულია თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის შესაბამისი განჩინებით, არქიტექტურის სამსახური მოკლებულია შესაძლებლობას გასცეს წერილობითი დასტური წარდგენილი სამუშაოების განხორციელებაზე.

საქმის განმხილველი ადმინისტრაციული ორგანო ვერ გაიზიარებს არქიტექტურის სამსახურის ზემოაღნიშნულ არგუმენტაციას და განმარტავს, რომ სარეკლამო აბრის განთავსება წარმოადგენს თბილისის სააპელაციო სასამართლოს განჩინებით შეჩერებული გადაწყვეტილებებით გათვალისწინებული ფასადის სარეკონსტრუქციო სამუშაოებისაგან დამოუკიდებელ I კლასის სამშენებლო სამუშაოს, რომლის წარმოება არ საჭიროებს მშენებლობის ნებართვას. შესაბამისად, მისი ქალაქთმშენებლობით დოკუმენტებთან შესაბამისობის საკითხი შეფასებულ უნდა იქნას ინდივიდუალურად, თამაზ ცხომელიძის მიერ 2019 წლის 19 მარტს წარდგენილი №AR1669067 განცხადების ფარგლებში. ადმინისტრაციული ორგანო განმარტავს, რომ მოთხოვნილი სამუშაოს ჩამონათვალი №57 დადგენილების 65-ე მუხლით გათვალისწინებულია ცალკე, რაც მხარეს აძლევს მისი დამოუკიდებლად მოთხოვნის შესაძლებლობას, რომლის შეზღუდვის სამართლებრივი საფუძველიც არქიტექტურის სამსახურს არ გააჩნია, ვინაიდან თავისი არსით, ნებისმიერი სახის პირველი კლასის სამშენებლო სამუშაო დაკავშირებულია ძირითად შენობასთან და ემსახურება მის ფუნქციურ გაუმჯობესებას. შესაბამისად, არქიტექტურის სამსახურის ზემოაღნიშნული დასაბუთება არ გამომდინარეობს კანონმდებლობის მიზნებიდან, რომელიც დამოუკიდებელ სამშენებლო სამუშაოდ გამოყოფს საჩივრის ავტორის მიერ მოთხოვნილ სამუშაოს. ამდენად, არქიტექტურის სამსახურის არგუმენტაცია მოკლებულია სამართლებრივ საფუძველს და მოთხოვნილი სამუშაოს განხორციელების დადასტურების შესაძლებლობა განხილულ უნდა იქნას

არქიტექტურის სამსახურის 2018 წლის 5 ნოემბრის №4248376 და 2019 წლის 8 იანვრის №4329783 გადაწყვეტილებებისაგან დამოუკიდებლად.

შესაბამისად, საჩივრის განმხილველი ადმინისტრაციული ორგანო ასკვნის, რომ მოცემულ შემთხვევაში, მშენებლობის ნებართვის გამცემი ადმინისტრაციული ორგანო არ იყო უფლებამოსილი, მიმდინარე ადმინისტრაციული წარმოების ფარგლებში უარი ეთქვა განცხადებაში მითითებული მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე იმ საფუძვლით, რომ ფასადის რეკონსტრუქციის სამუშაოები, რომლის ფუნქციონირებისთვისაც მოთხოვნილია აბრის მოწყობა, შეჩერებულია სასამართლოს 2019 წლის 19 თებერვლის №3ბ/249-19 განჩინებით. ადმინისტრაციული ორგანო განმარტავს, რომ სასამართლოს აღნიშნული განჩინებით შეჩერებულია კონკრეტულად არქიტექტურის სამსახურის 2018 წლის 5 ნოემბრის №4248376 და 2019 წლის 8 იანვრის №4329783 გადაწყვეტილებებით გათვალისწინებული სარეკონსტრუქციო სამუშაოების წარმოება, რაც თავის მხრივ, ავტომატურად არ გულისხმობს ამავე ფასადზე ნებისმიერი I კლასის სამშენებლო სამუშაოს განხორციელების შესაძლებლობის აკრძალვას.

ამდენად, საქმის განმხილველი ადმინისტრაციული ორგანო განმარტავს, რომ არქიტექტურის სამსახური ვალდებულია ახალი ადმინისტრაციული წარმოების ფარგლებში ხელახლა განიხილოს თამაზ ცხომელიძის 2019 წლის 19 მარტის №AR1669067 განცხადება და გამოიკვლიოს საქმისათვის მნიშვნელობის მქონე ყველა გარემოება. მშენებლობის ნებართვის გამცემი ადმინისტრაციული ორგანოს მიერ ზემოხსენებული სამართლებრივი ნორმების საფუძველზე, საქმის ფაქტობრივ გარემოებათა სრულყოფილად გამოკვლევისა და ურთიერთშეჯერების შემდგომ, გამოცემულ უნდა იქნას ახალი დასაბუთებული ინდივიდუალური ადმინისტრაციული-სამართლებრივი აქტი.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 60^1 მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, „ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი ბათილია, თუ იგი ეწინააღმდეგება კანონს ან არსებითად დარღვეულია მისი მომზადების ან გამოცემის კანონმდებლობით დადგენილი სხვა მოთხოვნები“.

საკითხის სრულყოფილად შესწავლის შედეგად, საქმის განმხილველი ადმინისტრაციული ორგანო მივიდა დასკვნამდე, რომ სადავო ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი ეწინააღმდეგება კანონმდებლობის მოთხოვნებს, რის გამოც არსებობს არქიტექტურის სამსახურის 2019 წლის 22 მარტის №4427280 გადაწყვეტილების ბათილად ცნობისა და სადავო აქტის გამომცემი ორგანოსთვის, საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებების გამოკვლევის შემდგომ, ახალი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის დავალების სამართლებრივი საფუძველი.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის I, IV,VI, XIII თავების, 60^1 მუხლის, 201-ე მუხლის პირველი ნაწილის „ა“ ქვეპუნქტისა და „მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის №57 დადგენილების მოთხოვნათა შესაბამისად, ადმინისტრაციული ორგანო ბრძანებს:

1. დაკმაყოფილდეს სს „ფუდმარტის“ დირექტორის ივანე კუტიბაშვილის 2019 წლის 15 აპრილის №10/01191053684-01 ადმინისტრაციული საჩივარი.
2. ბათილად იქნას ცნობილი ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2019 წლის 22 მარტის №4427280 გადაწყვეტილება.
3. დაევალოს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურს, საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებათა გამოკვლევის შემდგომ, გამოსცეს ახალი ინდივიდუალური ადმინისტრაციული-სამართლებრივი აქტი.
4. ბრძანების ასლები გადაეგზავნოთ დაინტერესებულ მხარეებს.
5. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს, დაინტერესებული პირის მიერ, თბილისის საქალაქო სასამართლოში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი მე-12 კმ. №6), მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის
მერის პირველი მოადგილე (ვიცე-მერი) ირაკლი ხმალაძე